მოსამართლეობის კანდიდატების მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები

№	გვარი, სახელი	ბიოგრაფია
1.	ბადრიაშვილი გელა	დაიბადა 1972 წლის 22 სექტემბერს ქ. გურჯაანში. 1995 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1995-2002 წლებში მუშაობდა საქართველოს პროკურატურაში სხვადასხვა თანამდებობებზე: გამომძიებელი, გენერალური პროკურორის უფროსი თანაშემწე. 2002-2004 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თავდაპირველად აპარატის უფროსი, ხოლო შემდეგ საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობის დეპარტამენტის სამართლებრივი ურთიერთდახმარების სამმართველოს უფროსი. 2004-2010 წლებში მუშაობდა საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სხვადასხვა თანამდებობებზე. 2011-2012 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2012 წლიდან დღემდე არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე.
2.	ბარბაქაძე ნათია	დაიბადა 1984 წლის 30 სექტემბერს ქ. ხაშურში. 2006 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა სამართლამცოდნეობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. 2008 წელს დაამთავრა ამავე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა სამართლამცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. 2006-2011 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში სხდომის მდივნისა და მოსამართლის თანაშემწის თანამდებობებზე. 2011-2012 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2012-2015 წლებში იყო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე. 2015 წლის 1 დეკემბრიდან დღემდე არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე.
3.	ბებია ეკატერინე	დაიბადა 1984 წლის 30 აპრილს ქ. ზუგდიდში. 2007 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა სამართალმცოდნეობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. 2018 წელს დაამთავრა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი და მიენიჭა სამართლის მაგისტრის კადემიური ხარისხი. 2006-2007 წლებში მუშაობდა შპს ,,საერთაშორისო მუდმივმოქმედ არბიტრაჟში სხდომის მდივნის თანამდებობაზე. 2008-2010 წლებში იყო აიპ ,,სპექტრი2“ იურისტი. 2012 წელს მუშაობდა ზუგდიდის რაიონული სასამართლოში სხდომის მდივნის შემცვლელად.

		2013 წელს მუშაობდა ზუგდიდის N4-ე დაწესებულებაში, სოციალური განყოფილების სოციალური მუშაკის თანამდებობაზე. 2014-2019 წლებში მუშაობდა საერთო სასამართლოების სისტემაში, კერძოდ ზუგდიდის რაიონულ, ფოთის საქალაქო, თბილისის საქალაქო და თბილისის სააპელაციო სასამართლოებში სხვადასხვა თანამდებობებზე. 2019-2020 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
4.	ბიჭია შოთა	დაიბადა 1983 წლის 23 მაისს ქ. ზუგდიდში. 2004 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2010 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი. 2004-2006 წლებში იყო იურიდიული მომსახურების ფირმა „სიმართლე“-ს ზუგდიდის №5 ფილიალის ადვოკატი. 2006-2012 წლებში მუშაობდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე. 2012-2013 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2010 წლიდან დღემდე ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. 2006-2012 წლებში მუშაობდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე. 2014 წლიდან დღემდე არის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.
5.	ბუგიანიშვილი ვალერიან	დაიბადა 1983 წლის 10 მაისს ქ. ონში. 2004 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის სამართალმცოდნეობის სპეციალობით, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2005-2006 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში, ხოლო 2006-2008 წლებში თბილისის საპელაციო სასამართლოში სხდომის მდივნის თანამდებობაზე. 2008-2011 წლებში იყო საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის სასამართლოებში წარმომადგენლობის სამმართველოს მრჩეველი. 2011-2012 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2012 წელს დაინიშნა გურჯაანის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის თანამდებობაზე. 2012-2019 წლებში იყო სიღნაღის რაიონული სასამართლოს მოსამართლე, ხოლო 2017-2019 წლებში ამავე სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი. 2019 წლის 16 დეკემბრიდან დღემდე არის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.

6.	ბუსკაძე ნათია	დაიბადა 1981 წლის 3 ივლისს თბილისში. 2003 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2003-2011 წლებში მუშაობდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში სხვადასხვა თანამდებობაზე: სპეციალისტი, მთავარი სპეციალისტი, რეფერენტი, მოსამართლის თანაშემწე. 2011 წელს მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, მრჩევლის თანამდებობაზე. 2011-2012 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2012 წლიდან დღემდე არის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.
7.	ბუხრაშვილი გიორგი	დაიბადა 1983 წლის 7 თებერვალს ქ. რუსთავში. 2005 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2003-2011 წლებში მუშაობდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში სხვადასხვა თანამდებობებზე: დარბაზის მეთვალყურე, სხდომის მდივანი და მოსამართლის თანაშემწე. 2011-2012 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2012 წელს დაინიშნა გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე. 2012 წლის ნოემბრიდან დღემდე არის სიღნაღის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ხოლო 2019 წლის დეკემბრიდან არის ამავე სასამართლოს თავმჯდომარე.
8.	გველესიანი სალომე	დაიბადა 1990 წლის 11 აგვისტოს ქ. ჭიათურაში. 2012 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. 2015 წელს დაამთავრა ამავე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. 2014-2016 წლებში მუშაობდა რუსთავის საქალაქო სასამართლოში სხდომის მდივნის თანამდებობაზე. 2016-2019 წლებში იყო რუსთავის საქალაქო სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მაგისტრი. 2019-2020 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2020 წლის სექტემბრიდან 2021 წლის იანვრამდე მუშაობდა რუსთავის საქალაქო სასამართლოში შემდეგ თანამდებობაზე: შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (მთავარი კონსულტანტი-მწერალი თანაშემწე).

9.	გზირიშვილი ალექსანდრე	დაიბადა 1988 წლის 16 აგვისტოს ქ. გორში. 2010 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. 2013 წელს დაამთავრა საქართველოს უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. 2008-2010 წლებში მუშაობდა სს „ტაოპრივატბანკში“ თავდაპირველად მოლარე-ოპერატორის, ხოლო შემდეგ უფროსი მენეჯერის თანამდებობაზე. 2010-2013 წლებში იყო შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ბი.აი.ჯი“-ს (ბიზნეს საინვესტიციო ჯგუფი) იურისტი. 2012-2013 წლებში იყო შპს „სერვის ლაინი“-ისა და შპს „თბილისის კარიბჭე“-ს იურისტი. 2013-2014 წლებში იყო ქ. კასპის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული, ხოლო 2014-2017 წლებში ქ. კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი. 2018-2019 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში, სასამართლო პრაქტიკის განზოგადების დარგში ეროვნული და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის განზოგადებისა და სტატისტიკის სამსახურის კონსულტანტის თანამდებობაზე. 2019-2020 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
10.	გიორგაშვილი სანდრო	დაიბადა 1962 წლის 19 დეკემბერს ქ. ყვარელში. 1986 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1990-1993 წლებში იყო სოფელ გავაზის საკრებულოს თავმჯდომარე. 1993-1999 წლებში იყო ყვარლის რაიონის სასამართლოს ადმინისტრაციული და სააღსრულებო წარმოების მოსამართლე. 1999-2004 წლებში იყო გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და ამავე სასამართლოს თავმჯდომარე. 2005-2007 წლებში მუშაობდა გურჯაანის რაიონულ პროკურატურაში პროკურორის თანამდებობაზე. 2011-2012 წლებში იყო შპს „სოკარ-ჯორჯია გაზი კახეთი“-ს იურისტი. 2012 წლიდან დღემდე არის გურჯაანის რაიონული პროკურატურის პროკურორი.
11.	გოგატიშვილი დიანა	დაიბადა 1975 წლის 4 აგვისტოს თბილისში. 1998 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1999-2005 წლებში მუშაობდა თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე. 2006-2008 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს, ხოლო 2008-2016 წლებში მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. 2016 წელს მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში, მთავარი კონსულტანტის თანამდებობაზე. 2017 წლის მაისიდან დღემდე არის რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.

12.	გოგიშვილი ანა	დაიბადა 1976 წლის 24 იანვარს თბილისში. 2000 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2002-2005 წლებში მუშაობდა საქართველოს კონტროლის პალატაში სპეციალისტის თანამდებობაზე. 2005-2010 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე. 2010-2011 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2011-2013 წლებში იყო თელავის რაიონული სასამართლოს, ხოლო 2013-2015 წლებში თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე. 2015 წლიდან დღემდე არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე.
13.	გოცირიძე კობა	დაიბადა 1966 წლის 10 აგვისტოს ქ. ხაშურში. 1992 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1993-2002 წლებში მუშაობდა პროკურატურის ორგანოებში შემდეგ თანამდებობებზე: სტაჟიორ-გამომძიებელი, უფროსი გამომძიებელი, პროკურორის თანაშემწე, უფროსი თანაშემწე. 2002-2015 წლებში იყო საერთო სასამართლოების მოსამართლე, კერძოდ: 2002-2005 წლებში ქუთაისის საოლქო, 2005-2010 წლებში ქუთაისის სააპელაციო, ხოლო 2010-2015 წლებში თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე. 2015-2016 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მაგისტრი. 2016-2019 წლებში იყო მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე, ხოლო 2019 წლის 3 ივნისიდან დღემდე არის ბათუმის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ქობულეთის მუნიციპალიტეტში.
14.	გრატიაშვილი გიორგი	დაიბადა 1974 წლის 20 დეკემბერს თბილისში. 1996 წელს დაამთავრა თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი. 1996-2012 წლებში მუშაობდა საქართველოს პროკურატურაში სხვადასხვა თანამდებობებზე. სხვადასხვა დროს იყო რაიონული პროკურორის მოადგილე, ოლქის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი, აჭარის ა/რ პროკურატურის ანტიკორუფციული საგამოძიებო ნაწილის უფროსი. 2012-2013 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2014-2016 წლებში მუშაობდა აჭარის ა/რ პროკურატურაში უფროსი პროკურორის თანამდებობაზე. 2016-2020 წლებში იყო ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, 2020 წლის 1 ივლისიდან დღემდე არის ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.

15.	გურული მალხაზ	დაიბადა 1979 წლის 28 აგვისტოს თბილისში. 1996 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1997-1999 წლებში იყო იმერეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს კადრებისა და პირად შემადგენლობასთან მუშაობის განყოფილების უფროსი პოლიციის ვ/პოლკოვნიკი. 1999-2004 წლებში მუშაობდა თბილისის საოლქო სასამართლოში, მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე. 2004-2005 წლებში იყო შიდა ქართლის საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორი. 2005 წელს დაინიშნა ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე. 2006-2007 წლებში იყო ქუთაისის საქალაქო, ხოლო 2007-2015 წლებში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე და ამავე სასამართლოს თავმჯდომარე.
16.	დუგლაძე ქეთევან	დაიბადა 1962 წლის 15 იანვარს ქ. ზესტაფონში. 1986 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალობით, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1992-1999 წლებში მუშაობდა დუშეთის #1 საშუალო სკოლაში საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების მასწავლებლად. 1999-2019 წლებში იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე.
17.	ელიაძე ეკატერინე	დაიბადა 1989 წლის 25 იანვარს თბილისში. 2011 წელს დაამთავრა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი, მიენიჭა სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. 2016 წელს დაამთავრა გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი, მიენიჭა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. 2013-2017 წლებში მუშაობდა მცხეთის რაიონულ სასამართლოში შემდეგ თანამდებობებზე: კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების სპეციალისტი, აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების სხდომის მდივანი. 2017-2019 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში თავდაპირველად სხდომის მდივნის, ხოლო შემდეგ მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე. 2019-2020 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
18.	ენუქიძე ნინო	დაიბადა 1988 წლის 24 ივნისს, ქ. გორში. 2009 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა სამართალმცოდნეობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

		2011 წელს დაამთავრა ამავე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა სამართალმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. 2011-2012 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში, სხდომის მდივნის მოვალეობის შემსრულებლად, ხოლო 2012-2019 წლებში ამავე სასამართლოში მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე. 2019-2020 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
19.	ზვიადაძე გიორგი	დაიბადა 1977 წლის 29 აპრილს ქ. ქუთაისში. 1999 წელს დაამთავრა ქუთაისის ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2002-2005 წლებში იყო დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე. 2005-2007 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში, მოსამართლის თანაშემწის თანამადებობა. 2007-2009 წლებში იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2009-2019 წლებში იყო ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.
20.	თოდუა უჩა	დაიბადა 1987 წლის 18 ივლისს ქობულეთის მუნიციპალიტეტში. 2009 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა სამართალმცოდნეობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. 2011 წელს დაამთავრა ამავე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. 2017 წლიდან არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი. 2009-2019 წლებში მუშაობდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში შემდეგ თანამდებობებზე: თავმჯდომარის ბიუროს უმცროსი კონსულტანტი, თავმჯდომარის ბიუროს კონსულტანტი, თავმჯდომარის ბიუროს უფროსი. 2016-2019 წლებში იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიწვეული მასწავლებელი. 2013 წლიდან დღემდე ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. 2019-2020 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
21.	თუნაური გიორგი	დაიბადა 1988 წლის 25 ოქტომბერს ქ. ახმეტაში. 2009 წელს დაამთავრა თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიენიჭა სამართალმცოდნეობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. 2011 წელს დაამთავრა გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი, მიენიჭა მაგისტრის აკადემიური ხარისხი. 2009-2019 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში შემდეგ თანამდებობებზე: სპეციალისტი, კანცელარიის

		განყოფილების სამოქალაქო საქმეთა სექტორის უფროსი, სხდომის მდივანი, მოსამართლის თანაშემწე. 2019-2020 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
22.	იმერლიშვილი მარინე	დაიბადა 1966 წლის 10 ნოემბერს ქ. ხაშურში. 1991 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1993-1999 წლებში იყო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატი. 1994-1995 წლებში მუშაობდა აბაშის ჰუმანიტარულ და სამართლის ინსტიტუტის იურისტ-კონსულტანტად. 1999-2000 წლებში მუშაობდა ქუთაისის საოლქო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე. 2000-2005 წლებში იყო ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე 2005 წლიდან დღემდე არის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე.
23.	კალანდაძე თეა	დაიბადა 1989 წლის 3 ივლისს ქ. ბათუმში. 2010 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მიენიჭა სამართალმცოდნეობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. 2013 წელს დაამთავრა ამავე უნივერისტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. 2012-2014 წლებში მუშაობდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში შემდეგ თანამდებობებზე: მოსამართლის თანაშემწე, სამოქალაქო საქმეთა პალატის კონსულტანტი. 2014-2018 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე. 2018-2019 წლებში იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე. 2019-2020 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
24.	კალატოზიშვილი არსენ	დაიბადა 1984 წლის 16 ნოემბერს ქ. თელავში. 2007 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა სამართალმცოდნეობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. 2006-2010 წლებში მუსაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში შემდეგ თანამდებობებზე: კანცელარიის სპეციალისტი, სხდომის მდივანი, მოსამართლის თანაშემწე, კანცელარიის სისხლის სამართლის საქმეთა სექტორის უფროსი. 2010-2011 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2011-2012 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მაგისტრი. 2012-2013 წლებში იყო ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მოსამართლე, ხოლო 2013 წლის მარტიდან დღემდე არის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.

25.	კაპანაძე თორნიკე	დაიბადა 1987 წლის 8 აპრილს, ქ. ბორჯომში. 2007 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხი სამართალმცოდნეობაში. 2010 წელს დაამთავრა ამავე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურა. 2013 წლიდან დღემდე არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი. 2008-2009 წლებშ მუშაობდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების სპეციალისტად. 2009-2013 წლებში მუშაობდა ამავე სასამართლოში სხდომის მდივნად და მოსამართლის თანაშემწედ. 2013-2015 წლებში იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს მთავარი კონსულტანტი (მწერალი-თანაშემწე). 2015-2017 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის კონსულტანტი. 2017-2019 წლებში იყო ამავე დეპარტამენტის უფროსი კონსულტანტი. 2017 წლიდან დღემდე არის ასევე თბილისის საქალაქო სასამართლოს მედიატორი. 2019-2020 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
26.	კაჟაშვილი ლიანა	დაიბადა 1986 წლის 26 ნოემბერს, ქ. ბორჯომში. 2009 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატი. 2011 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურა. 2011-2016 წლებში იყო სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის კონსულტანტი. 2016-2019 წლებში იყო ამავე სამსახურის ადვოკატი. 2019-2020 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
27.	კახეთელიძე გერონტი	დაიბადა 1971 წლის 22 მარტს, ქ. სიღნაღში. 1994 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1995-2000 წლებში მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროს გამომძიებლად. 2000-2002 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე. 2002-2004 წლებში იყო თბილისის რეგიონული ტრანსპორტის პროკურორის თანაშემწე. 2004-2005 წლებში მუშაობდა ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურორის თანაშემწედ და ამავე პროკურატურის პროკურორად.

		2005 წელს მუშაობდა საქართველოს შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროს გამომძიებელად. 2005-2011 წლებში იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსი გამომძიებელი. 2011 წელს იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2012 წლიდან არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე.
28.	ლობჟანიძე გიორგი	დაიბადა 1975 წლის 29 აგვისტოს ქ. ხაშურში. 1996 წელს დაამთავრა პროფესორ ჯ. ბაქრაძის სახელობის თბილისის სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2000-2006 წლებში ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას. 2006 წელს მუშაობდა საქართველოს უზენაესი სასამართლოში კონსულტანტის თანამდებობაზე. 2006-2007 წლებში იყო ჯავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. 2007-2017 წლებში იყო მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. 2018 წლის თებერვლიდან დღემდე არის ააიპ „ოუფენ ნეტი“-ს იურისტი.
29.	ლომთათიძე მზია	დაიბადა 1964 წლის 16 სექტემბერს, ქ. თბილისში. 1989 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1981-1999 წლებში მუშაობდა თავდაპირველად ლენინის შემდეგ კი ნაძალადევის რაიონის სახალხო სასამართლოს კანცელარიის გამგედ და სხდომის მდივნად. 1999-2000 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის საბჭოს კანცელარიის გამგე. 2000-2005 წლებში იყო თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. 2006 წლიდან დღემდე არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე.
30.	მაისურაძე მადონა	დაიბადა 1976 წლის 30 სექტემბერს დაბან თიანეთიში. 2005 წელს დაამთავრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2019 წლიდან არის აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი. 2005-2006 წლებში მუშაობდა შსს აკადემიაში სისხლის სამართლის, კათედრაზე მასწავლებლად. 2006-2010 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში სხდომის მდივნის და მოსამართლის თანაშემწის თანამდებობებზე. 2010-2011 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2012 წლის იანვრიდან არის რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.

31.	მაკარაძე დავით	დაიბადა 1990 წლის 29 სექტემბერს ქ. გარდაბანში. 2014 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. 2012-2017 წლებში მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში გამომძიებლად. 2014-2016 წლებში იყო ახალგაზრდა კრიმინოლოგთა ჯგუფის ლექტორი. 2017-2019 წლებში ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას. 2019-2020 წლებში იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2020 წლის თებერვლიდან დღემდე ეწევა საადვოკატო საქმიანობას.
32.	მამაცაშვილი ქეთევან	დაიბადა 1984 წლის 23 თებერვალს ქ. ჭიათურაში. 2006 წელს დაამთავრა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხი. 2005-2010 წლებში მუშაობდა თბილისის საოლქო სასამართლოში (შემდგომში სააპელაციო სასამართლო) მდივან – რეფერენტის, წამყვანი სპეციალისტის და მოსამართლის თანაშემწის თანამდებობებზე. 2010-2011 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2011-2012 წლებში მუშაობდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში კონსულტანტის თანამდებობაზე. 2012 წლის მარტიდან არის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე.
33.	მაჭავარიანი კახაბერ	დაიბადა 1969 წლის 4 ნოემბერს ქ. ტყიბულში. 1996 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1996-2012 წლებში მუშაობდა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში სასამართლოში ბრალდების მხარდამჭერი განყოფილების პროკურორის, უფროსი პროკურორის, განყოფილების უფროსის, საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილისა და ანტიკორუფციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობებზე. 2011-2012 წლებში იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2012 წლის ივლისიდან დღემდე არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე.
34.	მელაძე ნინო	დაიბადა 1985 წლის 18 თებერვალს ქ. ქუთაისში. 2007 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხი სამართალმცოდნეობაში. 2007-2017 წლებში მუშაობდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში სხდომის მდივნის, მოსამართლის თანაშემწისა და თავმჯდომარის ბიუროს კონსულტანტის თანამდებობებზე. 2012-2013 წლებში იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.

		2017-2019 წლებში მუშაობდა შპს "სამართლებრივი და ფინანსური კონსალტინგი მეტრიკა" იურიდიული განყოფილების უფროსად. 2017-2020 წლებში მუშაობდა სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურში დირექტორის მრჩევლისა და დირექტორის მოადგილის თანამდებობებზე, ხოლო 2020 წლის იანვრიდან დღემდე მუშაობს ამავე სამსახურის დირექტორის პირველი მოადგილის თანამდებობაზე.
35.	მერაბიშვილი ნათია	დაიბადა 1981 წლის 2 ნოემბერს თბილისში. 2004 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2005 წლის მარტიდან სექტემბრამდე მუშაობდა იურიდიულ ფირმა „დემოკრატია და სამართალი“-ში ადვოკატად, პარალელურად შპს „ახალციხის რაიონულ პოლიკლინიკაში“-ში იურისტის თანამდებობაზე და ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალქალაქის ფილიალში იურიდიული ფაკულტეტზე პედაგოგად. 2005-2011 წლებში მუშაობდა სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურაში გამომძიებლის თანამდებობაზე. 2011-2012 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2012-2019 წლებში იყო ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. 2019 წლის ივლისიდან არის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.
36.	ნარიმანიშვილი დავით	დაიბადა 1977 წლის 16 დეკემბერს ქ. ვალეში. 1998 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს შსს აკადემიის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1998-2000 წლებში მუშაობდა შპს ,,სიმართლეში" ადვოკატად. 2000-2003 წლებში იყო აიპ ,,დამოუკიდებელ იურისტთა კავშირის“ხელმძღვანელი და ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას. 2002-2003 წლებში იყო ახალციხის გამგეობის იურისტი. 2003-2004 წლებში იყო ახალციხის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. 2004-2007 წლებში მუშაობდა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში საოლქო პროკურორად. 2006-2007 წლებში იყო მიწვეული ლექტორი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალში. 2007-2010 წლებში მუშაობდა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ, შემდგომ კი სამმართველოს უფროსად. 2010-2011 წლებში იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2011-2020 წლებში იყო გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და ამავდროულად ამავე სასამართლოს თავმჯდომარე. 2020 წლის ივლისიდან არის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო

		სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლე. 2008 წელს დაჯილდოვდა ღირსების მედლით.
37.	ნაჭყებია ნინო	დაიბადა 1983 წლის 22 დეკემბერს ქ. თბილისში. 2006 წელს დაამთავრა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის სოციალურპოლიტიკურ და იურიდიულ მეცნიერებათა ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2006-2010 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში კანცელარიის სპეცლიასტის,სხდომის მდივნის და მოსამართლის თანაშემწის თანამდებობებზე. 2010-2011 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2011-2012 წლებში მუშაობდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში კონსულტანტის თანამდებობაზე. 2012 წლის მარტიდან არის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.
38.	ობოლაძე ეკატერინე	დაიბადა 1986 წლის 28 ივნისს ქ. სანკტ-პეტერბურგში (რუსეთის ფედერაცია). 2009 წელს დაამთავრა საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი, მიენიჭა სამართალმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. 2012 წლიდან დღემდე არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი. 2008-2010 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში აპარატის უფროსის პირადი მდივნის, სხდომის მდივნისა და მოსამართლის თანაშემწის თანამდებობებზე. 2011 წელს იყო სს „თი ბი სი ბანკის“ საკრედიტო ადმინისტრატორი. 2012-2013 წლებში იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტი. 2014-2019 წლებში მუშაობდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში სხდომის მდივნისა და მოსამართლის თანაშემწის თანამდებობებზე. 2019-2020 წლებში იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
39.	ოთარაშვილი ლია	დაიბადა 1963 წლის 7 ივლისს ქ. გურჯაანში. 1989 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1989-1999 წლებში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. 1999-2005 წლებში მუშაობდა გურჯაანის რაიონულ სასამართლოში კანცელარიის მთავარ სპეციალისტად. 2005-2009 წლებში იყო თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. 2009-2015 წლებში ირიცხებოდა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა რეზერვში. 2013-2016 წლებში იყო სალექციო კურსის ავტორი სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებში.

		2017-2019 წლებში მუშაობდა აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს იურიდიული განყოფილების უფროს სპეციალისტად, ხოლო 2019 წლის დეკემბრიდან დღემდე მუშაობს ამავე სამინისტროში იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე.
40.	სამხარაძე სალომე	დაიბადა 1990 წლის 29 ივნისს ქ. თბილისში. 2016 წელს დაა,თავრა საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა, მიენიჭა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. 2011-2016 წელბში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში კანცელარიის სპეციალისტის, სხდომის მდივნისა და მოსამართლის თანაშემწის თანამდებობებზე. 2016-2019 წლებში მუშაობდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწედ. 2019-2020 წლებში იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2020-2021 წლის თებერვლამდე იყო თბილისის საქალაქოს სასამართლოს კონსულტანტი. 2021 წლის მარტიდან დღემდე არის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკანტი.
41.	სვანაძე დავით	დაიბადა 1960 წლის 23 ივნისს ქ. წყალტუბოში. 1986 წელს დაამთავრა მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლა და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1978-1982 წლებში მუშაობდა წყალტუბოს შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებაში მილიციელად. 1986-1988 წლებში მუშაობდა ზესტაფონის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში გამომძიებლად. 1988-1993 წლებში მუშაობდა წყალტუბოს შსს საქალაქო განყოფილების მოკვლევის სამსახურის უფროსი ინსპექტორის და საგამოძიებო ქ/განყოფილების გამომძიებლის თანამდებობებზე. 1994 წელს მუშაობდა საქართველოს შსს საგზაო პოლიციის სამმართველოს იმერეთის საგამოძიებო ჯგუფის უფროსი გამომძიებლის თანამდებობაზე. 1994-1995 წლებში მუშაობდა სატრანსპორტო საგამოძიებო სამმართველოს ქუთაისის განყოფილების უფროსად. 1995-1999 წლებში მუშაობდა საქართველოს შსს საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთის მხარის საგამოძიებო განყოფილების უფროსის, უფროსის მოადგილის და უფროსი გამომძიებლის თანამდებობებზე. 2000-2001 წლებში მუშაობდა ქუთაისის საოლქო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწედ. 2001-2005 წლებში იყო ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. 2005-2012 წლებში იყო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე. 2005-2007 წლებში იყო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე. 2012 წლის დეკემბრიდან არის სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.

42.	სტურუა ბიძინა	დაიბადა 1980 წლის 17 ივლისს ქ. ქუთაისში. 2002 წელს წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2005 წელს დაამთავრა ვესტფალიის მიუნსტერის ვილჰელმის უნივერისტეტის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა მაგისტრის აკადემიური ხარისხი. 2015 წლიდან დღემდე არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი. 2006-2010 წლებში მუშაობდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე. 2010-2011 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2011-2012 წლებში იყო ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. 2012 -2019 წლებში იყო ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და ამავე სასამართლოს თავმჯდომარე. 2019 წლის სექტემბრიდან დეკემბრამდე იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე. 2019 წლის დეკემბრიდან არის მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და ამავე სასამართლოს თავმჯდომარე.
43.	ტყეშელაშვილი ირინე	დაიბადა 1981 წლის 7 იანვარს თბილისში. 2003 წელს დაამთავრა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით. 2003-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის კადრების დეპარტამენტის სპეციალისტად. 2005 წელს იყო თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე. 2005-2012 წლებში იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლიოს თანაშემწე. 2012-2016 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მაგისტრი. 2016 წლიდა დღემდე არის რუსთავის საქალაქოს სასამართლოს მოსამართლე.
44.	ტყეშელაშვილი რომეო	დაიბადა 1984 წლის 27 ნოემბერს, ქ. ქუთაისში. 2007 წელს დაამთავრა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით. 2010-2020 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში სხვადასხვა თანამდებობებზე: კანცელარიის სისხლის სამართლის საქმეთა სექტორის სეციალისტად, სხდომის მდივნად, მოსამართლის თანაშემწედ. 2019-2020 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.

45.	ფოლადიშვილი ლიელა	დაიბადა 1986 წლის 2 დეკემბერს თბილისში. 2011 წელს დაამთავრა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა სამართალმცოდნეობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. 2019 წელს დაამთავრა სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლისა და დიპლომატიის ფაკულტეტი, მიენიჭა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. 2007-2010 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მარნეულის სამსახურის მთავარი სპეციალისტი. 2012-2017 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში სხვადასხვა თანამდებობებზე: მომსახურების ცენტრის წამყვან სპეციალისტად, კანცელარიის სპეციალისტად, სხდომის მდივნად, მოსამართლის თანაშემწე. 2017 წლიდან მუშაობდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწედ, ამჟამად არის ამავე სასამართლოს სამართლებრივი უზრუნველყოფის კონსულტანტი. 2019-2020 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
46.	ფორჩხიძე ვიოლეტა	დაიბადა 1966 წლის 30 ნოემბერს ტყიბულში. 1992 წელს დაამთავრა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1993-1999 წლებში მუშაობდა ვანის რაიონის სასამართლოს აღმასრულებლად. 1999-2009 წლებში იყო ვანის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და ამავე სასამართლოს თავმჯდომარე. 2009-2012 წლებში იყო ხონის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. 2012 წლის ოქტომბრიდან დღემდე არის ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.
47.	ყოლბაია ლევან	დაიბადა 1979 წლის 11 თებერვალს, ქ. გალში. 2000 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ისტორია-იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2015 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა ინჟინერიის დოქტორის აკადემიური ხარისხი ინფორმატიკაში (სადისერტაციო ნაშრომი: ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების ურთიერთკავშირის ვიზუალიზაციისა და ანალიზის ავტომატიზებული სისტემის შემუშავება). 2001-2005 წლებში მუშაობდა აფხაზეთის ა/რ უმაღლესი სასამართლოში სხვადასხვა თანამდებობაზე. 2006-2010 წლებში იყო აფხაზეთის ა/რ ჯანდაცვის სამინისტროს იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების სამმართველოს უფროსი.

		2010-2013 წლებში იყო არასამთავრობო ორგანიზაციის - „დევნილთა მხარდაჭერისათვის“ დამფუძნებელი და გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე. 2014-2015 წლებში იყო აჟარისა და ზემო აფხაზეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურისტი (მთავარი სპეციალისტი). 2015 წლის მაისიდან დღემდე არის სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის იურისტი. 2019-2020 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
48.	შკუბულიანი ლელა	დაიბადა 1964 წლის 3 ოქტომბერს ქ. თბილისში. 1992 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1981-1984 წლებში იყო სახელმწიფო არბიტრაჟის საქმისმწარმოებელი. 1984-1992 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროს ლაბორანტად. 1992-1999 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს კონსულტანტი. 1999-2000 წლებში იყო თბილისის საოლქო სასამართლოს მისაღების უფროსი, შემდგომ მოსამართლის თანაშემწე. 2000-2005 წლებში იყო თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. 2005 წლის მაისიდან დღემდე არის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.
49.	ჩიკაშუა ირაკლი	დაიბადა 1980 წლის 20 სექტემბერს ქ. თბილისში. 2003 წელს დაამთავრა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2004-2006 წლებში იყო საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროშის იურისტი. 2006-2019 წლებში მუშაობდა სს „პროკრედიტ ბანკის“, სს „პრივატბანკისა“ და სს „საქართველოს ბანკის“ იურისტად. 2019-2020 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
50.	ცეცხლაძე ნარგიზ	დაიბადა 1966 წლის 16 ოქტომბერს ხულოში. 1991 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1991-1996 წლებში იყო ქ. ბათუმის მერიის მთავარი ეკონომიკური სამმართველოს იურისტი. 1996-2004 წლებში მუშაობდა თავდაპირველად აჭარის ა/რ იუსტიციის სამინისტროში, ხოლო შემდეგ აჭარის იუსტიციის სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობებზე. 2004-2005 წლებში იყო შპს „ბათუმის სამშობიარო სახლი“-ს იურისტი. 2005-2007 წლებში იყო ჯავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და მივლინების საფუძველზე ახორციელებდა

		მოსამართლის უფლებამოსილებას ბათუმის საქალაქო სასამართლოში. 2007-2014 წლებში ირიცხებოდა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა რეზერვში. 2014-2015 წლებში დაკისრებული ჰქონდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება. 2010 წლიდან დღემდე ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.
51.	ჭილაია კოტე	დაიბადა 1973 წლის 3 დეკემბერს სოხუმში. 1997 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ისტორია-იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1999-2000 წლებში იყო ახალგაზრდა იუსრისტთა ასოციაციის ადვოკატი. 2003 წელს მუშაობდა აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური სამსახურის ინსპექტორად. 2003-2007 წლებში მუშაობდა ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტში სხვადასხვა თანამდებობებზე. 2009-2017 წლებში იყო შემოსავლების სამსახურის ოფიცერი. 2017-2019 წლებში მუშაობდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის რეფერენტად. 2019-2020 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
52.	ხარჩილავა ხათუნა	დაიბადა 1977 წლის 18 მარტს ქ. სოხუმში. 2002 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ისტორია-იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1999-2003 წლებში მუშაობდა აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრში მთავარი სახელმწიფო მრჩევლის თანამდებობაზე. 2003-2005 წლებში იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში სხდომის მდივანი. 2006-2011 წლებში მუშაობდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში სხდომის მდივნისა და მოსამართლის თანაშემწის თანამდებობებზე. 2011-2012 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2012 წლის 21 მაისს დაინიშნა საგარეჯოს რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე, ხოლო ამავე წლის ივნისიდან დღემდე არის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.
53.	ხუჭუა ვლადიმერ	დაიბადა 1976 წლის 7 ნოემბერს ქ. ქობულეთში. 1998 წელს დაამთავრა თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი „იბერია“-ს იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1997-1998 წლებში მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში პოლიციელისა და ოპერატიული მუშაკის თანამდებობებზე.

		2002-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს კონტროლის პალატაში იურისტის თანამდებობაზე. 2004-2011 წლებში იყო საქართველოს პროკურატურაში თავდაპირველად სამმართველოს უფროსი, ხოლო შემდეგ დეპარტამენტის უფროსის მოადგილე. 2011-2012 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2012 წელს დაინიშნა გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე, ხოლო ივნისიდან საჩხერის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ და დაეკისრა ამავე სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება. 2012 წლის ნოემბრიდან დღემდე არის თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლე და ამავე სასამართლოს თავმჯდომარე.
54.	ჯავახიშვილი მაია	დაიბადა 1978 წლის 26 ნოემბერს გურჯაანში. 2003 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2001-2005 წლებში ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას. 2006-2007 წლებში მუშაობდა კახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატში იურისტის თანამდებობაზე. 2007 წელს იყო თელავის მუნიციპალიტეტის აპარატის წამყვანი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში. 2007-2009 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2010-2011 წლებში მუშაობდა „სს პროკრედიტ ბანკში“ იურისტად. 2011-2020 წლებში მუშაობდა შპს „საქართველოს ფოსტაში“ იურიდიული სამსახურის უფროსისა და გენერალური დირექტორის მრჩევლის თანამდებობებზე. 2018 წლიდან დღემდე არის შპს აკადემიკოს ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის იურიდიული სამსახურის უფროსი. 2018 წლიდან დღემდე არის შემდეგი ორგანიზაციების იურისტი: შპს „ლინემა ფარმი“, შპს „ვერონა“ და სს ჩაჩავას კლინიკა.
55.	ჯინჭველაშვილი ეკატერინე	დაიბადა 1976 წლის 14 ოქტომბერს ქუთაისში. 1998 წელს დაამთავრა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით. 2003-2005 წლებში მუშაობდა ქუთაისის საოლქო სასამართლოს სხდომის მდივნად და მოსამართლის თანაშემწედ. 2005-2010 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე. 2010-2011 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2011-2012 წლებში მუშაობდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში კონსულტანტის თანამდებობაზე.

		2012-2015 წლებში იყო ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე. 2015 წლის აგვისტოდან დღემდე იგი არის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.
56.	ჯოხაძე ნანა	დაიბადა 1975 წლის 29 ნოემბერს სამტრედიაში. 1997 წელს დაამთავრა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით. 1997-2005 წლებში იყო იყო შპს აბაშის ჰუმანიტარული და სამართლის ინსტიტუტის ლექტორი. 2005-2006 წლებში ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას. 2006 წელს მუშაობდა საქართველოს უზენაესი სასამართლოში კონსულტანტის თანამდებობაზე. 2007-2009 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2009-2016 წლებში იყო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე. 2016 წლის თებერვლიდან დღემდე იგი არის ოზურგეთის რაიონული სასამართლო მაგისტრატი მოსამართლე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში.